№ 184
კვირა, 26 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877–1901

ივერია

ტფილისი

№ 184
კვირა, 26 აგვისტო, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქეთევან ლუარსაბის ასული ჟურულისა შვილებითა და სიძითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 1-ს სეკტემბერს, სოფ. არბოში წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

დურმიშხან შალვას-ძე ჟურულის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ათს საათზედ და შემდეგ პანაშვიდი მოჰყვება.

(2—189—1)

კნეინა ეკატერინე დიმიტრის-ასული ხიმშიაშვილისა, კნეინა სოფიო დიმიტრის-ასული და თავ. გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე დიასამიძენი უგულითადეს მადლობას მოახსენებენ ყველა მათ, ვინც პირადად, დეპეშით თუ წერილით გამოუცხადა სამძიმარი მათ მწუხარებაში.

1—6—1

სასწავლებელი და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13.
ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე.
სწავლა 1 სექტემბრიდამ.

(10 181—6)

ქ. ქუთაისში

ქალაქის ექიმი

ი. ი. ჩარექოვი

გადავიდა ბინად ტფილისის ქუჩაზე, თ. ნიჟარაძის სახლში, № 46, აბორინის სახლის გვერდში.

იღებს ავადმყოფებს 10—12 საათამდის.

(8—185—2)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ახალი ამბავი

—

*** ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ვიტტე სექტემბრის პირველს ნახევარში სოჭში ჩამოვა თავისის ოჯახითურთ.

*** ზამთრის დამდეგიდგან გუმბრსა და ტფილისს შუა მეორე წყვილი სახალხო მატარებელი ივლის.

*** კავკასიელ სიონელთა (ებრაელთა) კრების სხდომები შეწყვეტილ იქმნა, რადგანაც პროგრამმა კრებაზედ გასარჩევ საგნებისა მთავრობის მიერ დამტკიცებული არა ყოფილა.

*** ქალაქის სკოლებში ბავშვების მისაღებად თხოვნები ამ წლიდგან ქალაქის სასწავლებელთა კომისსიას უნდა წარუდგინონ, რომელიც შემდეგ თავისით გაანაწილებს, რომელს სასწავლებელში რამდენი მოსწავლე უნდა იყოს მიღებული. დღემდის კომისიისათვის მხოლოდ 60 თხოვნა წარუდგენიათ.

*** ტფილისის საკანტროლო პალატის დადგენილებისა თანახმად,

ფელეტონი

—

ბულბული

ბულბულს უთხრეს: რად არ ჰყივი
როგორც ჩვენი მამალიო?
თუ გსურს, ხმა რომ გაგიბოხდეს,
აი ჩვენი წამალიო:

—

დედლებს სდიე. რომ დაღამდეს
საქათმეში შეჰყევ თანო;
ქანდარაზედ გადმომჯდარმა,
დაიყვირე ხან-და-ხანო!

—

მაშინ შენ ხმას ქვეყნის თვალში
მეტი ფასი ექმნებაო;
თვარა, ვხედავთ, შენი მღერით
აღარავინ ეგზნებაო.

—

ბულბულმა სთქვა: ჩემ ხელობას
არც დავთმობ და ვერც დავთმეო,—
სულ სხვა-და-სხვას მოითხოვენ
მეპაღე და მექათმეო.

—

მე-კი არც ერთს, არც მეორეს
ყურს არ ვუგდებ, ჩემთვის ვსტვენო;
სანამ ვარდი არ დასჭკნება,
ჩემებურად მოვილხენო...

აკაკი.

დროის ბრალია

ესკიზი.

ყოველს უქმე დღეს, თუ კაი ტაროსი იქნებოდა, ჩვეულებათ მქონდა ჯუმათის მონასტრის გალავნის ავწევოდი, იქიდან გადმოსახედის შვენიერებით თვალი გამეძღო.

ვისაც ჯუმათის მთის წვერიდან არ გადუხედნია, ნუ იტყვის ღვთის გაჩენილი ქვეყნის სიტურფის ფასი ვიციო. ბევრი საზღაპრო შვენიერების ადგილებია საქართველოში, ამ ბაღთა-ბაღში დედა-მიწის ზურგისა, მაგრამ ის, რასაც ადამიანის თვალი დაინახავს ჯუმათიდან, უსაცილოთ უნდა ჩაითვალოს ერთ უჩინებულესს სანახავთაგანათ დედამიწის ზურგზე.

წარმოიდგინეთ მაისის მოწმენდილი დილა. აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ-სამხრეთით ხედავთ მთელ დასავლეთ საქართველოს მიდამოებს. თვალს ვერ აშორებთ რიონის, სუფსის და ბევრის მათის შესართავების თვალ-უწვდენელ ზურმუხტ ვაკეებს, ვერცხლის ფრათ მოლაპლაპე მდინარეებით შემკულთ. ამ ვაკეებს სიკეკლუცე მიუწდომელის არეულობით შემოფარგვლიან სხვა-და-სხვა სიშორეზე სხვა-და-სხვა სიმაღლე-სიდიდისა და მიმართულების მთები ვაკე-გორებით შეპეპლებულნი, უმეტეს ნაწილათ ტყეებით შექოჩრებულნი და ზოგან აუღებელი თოვლით დაგვირგვინებულნი. დასავლეთით, თითქმის თქვენს ფეხთ ქვეშ, თუმცა ოთხიოდე ვერსის მანძილია შუა, 1700 ფუტის სიმაღლიდან დაჰყურებთ უსაზღვრო შავ ზღვას, მყუდროს, ზვიადს, ლაჟვარდი მქევლებით ნაზათ მობიბინეს, გემ-ხომალდებით და ნავ-ფელუგებით მორთულს და მზის სხივებით უცხოთ მოციაგეს. ფოთს კანდელიანათ პალიასტომის ტბით და მალთაყვათი ჩრდილოეთით ისე ხედავთ როგორც ხელის გულზე. ხედავთ ბათომს სამხრეთ-დასავლეთითაც, თუ უნისლო ტაროსი იქნა. ყველაფერს ამას ზევით განგებას გადაუშლია ფირუზი ცა, რომლის ზესკნელიდან ცხოველ-მყოფელი მზე სწორათ ეფინება როგორც ხილულს, რომ თვალი და გული გაძღეს, ისე უხილავსაც, რომ გრძნობა დასტკბეს... ჯუმათის მწვერვალოზე ერთიღა ძველი მონასტერია, ოდესმე მდიდარი და აწკი დაღარიბებული; იგი დგას უსიტყვო მოწმათ მთის კატარის ტრიალს მინდორზე, როგორც ზღვის ღელვისაგან ჩხერზე გარიყული გემი, ანძებ დამტვრეული, ფსკერ გაბზარული და მგზავრებ დაღუპული...

ყოველთვის, როცა აქედან გადასახედის ხილვით დავიკმაყოფილებდი გულსა და სულს, ამ მონასტრის კედლებს მოვაშურებდი ხოლმე, რომ მათი უტყვი აგებულობის გამომეტყველს სახიერებას და კიდევ უფრო მჭევრ-მეტყველს თავ-გადასავლის წარმოდგენილობას უხმოთ გამოველაპარაკებოდი, გულის ხმიერებით გამოვსაუბრებოდი...

ხშირათ არ ს კაცის სიცოცხლეში ისეთი დრო და ადგილი, როცა სამშობლოს რომელიმე კუთხე, ან კუთხის კუნჭული თავის გარემოთი და აწმყო-წარსულით უენოთ უფრო მეტს ეუბნება გულს, უფრო გარკვეულ საგნებს და ცოცხალ აზრებს უზიარებს სულს, ვიდრე მთელი სიბრძნე უგანათლებულესის მჭევრმეტყველისა.—რაც უნდა დასაღონებელი დარჩეს ასეთი გამოსაუბრება ბუნებასთან, მაინც სიამეს ჰგვრის იგი გულს დ̃ გამაკეთილშობილებელი გავლენა აქვს კაცის სულიერს მხარეზე... მითი კაცი ეჩვევა დიდებულს ხელოვნებას — უანბანოთ კითხვას დაუბეჭდველის, მაგრამ ღვთის ხატებით აღბეჭდილის, ბუნების წიგნისას, რომლიდანაც უფრო მეტს ზეგარდმო მადლიანს, დიდებულს და ღრმა აზრიან საგნებს აღმოიკითხავს იგი ზოგჯერ, ვიდრე მთელი ქვეყნის კაცობრიობის ლიტერატურიდან.

მეც, თვალისა და გრძნობის დატკბობის გარდა ამისათვისაც ვეტანებოდი ჯუმათს.

ბევრი სასიამოვნო, სათნო და ტკბილათ დამაღონებელი წამები გამიტარებია მის მწვერვალზე, ბევრჯელ ამჩქროლებია სისხლი მის გამო აწმყოს უგვანობის გათვალისწინებით და უკუღმართათ დაბოლოვებულის წარსულის წარმოდგენით, მაგრამ ისეთი გულის ტკივილი, როგორიც გამომაცდევინა იქ ერთი მოხუცებულის შეხვედრა-ნაამბობმა, იშვიათათ მიგრძვნია მთელს ჩემს თავგადასავალით სავსე სიცოცხლეში.

მზე წითელ ატლასისფრათ ჩაესვენა შავის ზღვის დასავლეთს კიდეზე. საღამოს ბურუსი თხელ ტყვიის ფერ ლეჩაქივით გადაეფარა დასავლეთ საქართველოს ვაკეებს, მდინარეებს და მთებს.—ზღვის მქევლთა ბიბინი ტალღების ნელს ღელვაზე იცვლებოდა. ქვეშ სოფლებიდან ადამიანების და მათის თანამხლებელ არსთა ხმაურობა-ჟრიამული გაურკვევლათ მოისმოდა. ზევით, ცაზე მთვარე ამოცურდა; ქვეშ, მიწაზე, მოსახლეებში ცეცხლები დაინთო.

დობილოსთან დაბმული ცხენი მოვხსენი და ზედ ვჯდებოდი წამოსასვლელათ, რომ უცებ ხეობიდან გამოვიდა ცხრაფათ მოკეცილი მოხუცებული, ხელში არგანი ეჭირა, თხელი, თოვლივით თეთრი წვერი მუხლებამდე სცემდა. თავს კაბალახი გურულათ ეხვია. მომიახლოვდა, რაც შეეძლო წელში გაიმართა და სალამი მომცა. სქელი წარბები ჩაცვივნულ თვალებს უფარავდა, მაგრამ ვერ დაეფარა ცრემლები, რომლებიც ნაწვეტ-ნაწვეტით, ხანდასმით მოცვივოდა...

—ბატონო, თქვენ დიდიხანია გითვალთვალებთ აქ... ჩვენი ქვეყნის შვილი რომ ბრძანებულხართ, გავიგე, იმიტომ შემოგბედავთ... მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე, მღვდელ-მთავარი ახლა ოზურგეთშია?

—ეპისკოპოზი ახლა თბილის ქალაქშია სამსახურის გამო, როდის დაბრუნდება არვიცი-თქო, ვუთხარი.—მოხუცმა, ჩემდა გასაოცებლათ, ისე შეიცხადა ეს ამბავი, როგორც დედამ საყვარელი შვილის სიკვდილი.

—ეს ჩემი ცოდვის ბრალია! ეს ცოდვა რომ წამწყმენდდა, ვიცოდი, მაგრამ უაღსარებოთ თუ ჩავიტანდი მიწაში, ეს არ მეგონა. ვაჲ, ჩემი ცოდვა! იუდამ უფრო ადრე მოინანა ჩემზე... და უცებ, მწვავე გულიდან ამონაქენჯნი, უხმო ქვითინი მორთო...

დავიწყე, რაც შემეძლო, ნუგეშინის ცემა. ვუთხარი, აღსარების უთქმელობა თუ გაწუხებს, მღვდლების მეტი რა გეშოვნება, მაგ მღვდელმთავარის საქმე არც არის მეთქი.

ხაზინის სასარგებლოდ უნდა გარდაჰხდეთ თანამდებობაზედ დამტკიცებისა ქალაქის მოურავს გ. გ. ევანგულოვს 500 მან., გამგეობის წევრს მ. ს. შესტაკოვსა და გამგეობის წევრათ ნამყოფს თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკს 375 მან. თვითოს. როგორც ქალაქის მოურავის მოადგილეებს, გამგეობის წევრს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილსა და გამგეობის წევრათ ნამყოფს ხ. ი. ვერმიშევს 250 მან. თვითისა და ქალაქის მდივანს ბ-ნს ს. თ. ჭრელაშვილს 100 მან.

⁂ ებოძა ნიშანი უბიწო სამსახურისა გენერალს ამილახვარს.

⁂ ქალაქის გამგეობის განმარტებით, ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილის ტეხნიკოსები მოვალენი თურმე არიან ქარხნებისა, ფაბრიკებისა, და სხ. შენობების დაფასებაში მონაწილეობა მიიღონ, მაგრამ გამგეობა სთხოვს დამფასებლებს ყოველს ამგვარს შემთხვევაში გამგეობას მიჰმართონ ხოლმე და იგი თავისით დაჰნიშნავს ტეხნიკებსა და, თუ საჭიროება მოითხოვს, ქალაქის ინჟენერსაც.

⁂ ქალაქის გამგეობას დაუდგენია: 1) დაამტკიცოს ციციანთ აღმართის შემკეთებელ კომისიის ყველა დადგენილებანი; 2) აღმართის ქვის დასაგებად საჭირო ხარჯი ამ საგნისათვის არსებულს კრედიტს მიაწეროს; 3) ამავე ფულით გაკეთდეს განზრახული პარაპეტი; 4) კონკურსის შესახებ განცხადებანი ყველა აქაურს გაზეთებში დაიბეჭდოს და 5) ექსპერტებათ საქმის სპეციალურად მცოდნენი მოიწვიოს.

⁂ უკვე დაიბეჭდა ტფილისის ბატანიკური ბაღის 1901—1902 წლის მცენარეულობათა და ხეხილების კატალოგი, რომლებიც შეიძლება გაისყიდოს ამ წლის შემოდგომაზედ და მომავალს 1902 წლის გაზაფხულზედ.

⁂ ორშაბათს, 27 აგვისტოს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ქალაქის გამგეობაში შეერთებული სხდომა მოხდება ტფილისის ქალაქის გამგეობისა და საბჭოს იმ კომისიისა, რომელსაც საიუბილეო დღესასწაულის მოწყობა აქვს მინდობილი.

⁂ როგორც დაბა საჩხერიდგან გვატყობინებენ, საჩხერის სამკურნალო ქსენონი ს. ხარაგაულში გადაუტანიათ. რითი აიხსნება ასეთი განკარგულება სათანადო მთავრობისა, არ ვიცით სწორედ? ესკია მხოლოდ, რომ თითქმის 40,000 მცხოვრები საჩხერის ნაწილისა თითქმის უპატრონოდ დარჩება მკურნალობის მხრივ. კარგი იქნება ამ გარემოებას ჩვენი ახალგაზრდა მკურნალები ყურადღებას მიაქცევდნენ.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მსურველთ მიმართა გამოსაცდელს წარმოდგენებში მონაწილეობა მიეღოთ. როგორც შევიტყეთ, მონაწილეობის მიღებაზედ თანახმობა განუცხადებია 10-მდე ქალსა და კაცს, რომელთა მომზადებას კიდეც შესდგომია გამგეობა. 24 აგვისტოს კრებაზედ საზოგადოების გამგეობას გარდაუწყვეტია გამოსაცდელ წარმოდგენის მოწყობა გამგეობის წევრებს ბ-ნთ ნ. ქართველიშვილსა და ს. მგალობლიშვილს მიენდოს.

⁂ ტფილისის პოლიციის მე-7 ნაწილის ბოქაულმა მისწერა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას განკარგულება იქნეს მოხდენილი, რომ კახეთისა და ლაზარევის ქუჩები შეკეთებულ იქმნეს.

კავკასიის მომავალი გამოფენა

ტფილისის პოლიცმეისტერი სთხოვს გამოფენის კამისსარს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილს, რომ გამოფენაზედ მისულ საქვეო ხალხზედ თვალ-ყურის დასაჭერად 15 უფასო ბილეთი იქმნეს გადადებული პოლიციის აგენტებისათვის.

⁂

გამგე კომიტეტის 23 აგვისტოს სხდომაზედ დადგენილ იქმნა: 1) მიეცეს სამუდამო უფასო ბილეთები სხვა-და-სხვა განყოფილებათა ყველა გამგეებსა და მათს თანაშემწეებს, აგრეთვე ყველა იმათ, ვისიც გამოფენაზედ ყოფნა საჭიროა; 2) ყველა ჟურნალებსა და გაზეთებს, რომლებიც გამოფენაში მონაწილეობას იღებენ, მიეცეთ თვითო სამუდამო უფასო ბილეთი ბეჭდვის განყოფილებისაგან და სამ-სამი სამუდამო ბილეთიც ადგილობრივს რედაქციებს გამგე კომიტეტისაგან.

⁂

23 აგვისტოს სხდომაზედ კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტმა, განიხილა-რა საგანი კავკასიის გამოფენის ცეცხლის წინააღმდეგ უზრუნველყოფისა, გარდასწყვიტა: მიუმატოს კიდევ 4 კაცი და გამოფენაზედ მუდმივ იყოლიოს ცეცხლის მქრობელი რაზმიდგან 6 კაცი, რომელთაგანაც თვითოეულს თვეში მიეცემა 30 მან. კომიტეტმა გარდასწყვიტა აგრეთვე დაავალოს ა. ს. ბაბოვს მოელაპარაკოს იგი გუსტავ-ლისტის ფირმას, რომ მან გამოფენის უმთავრეს პავილიონთან დასადგმელად წყლის საქაჩავი ორთქლის მაშინა დაუთმოს. ცეცხლის მქრობელთა შორის მორიგეობა იქნება შემოღებული.

⁂

კავკასიის გამოფენაზედ ექსპონატების მიღება გუშინ, 25 აგვისტოს, საბოლოოდ შესწყდა.

⁂

კავკასიის გამოფენის უმთავრესს პავილიონში, ბეჭდვით სიტყვის განყოფილებაში მწერალთა ბიუროს მოსაწყობად „Кавк. Вѣстн.“-ის რედაქტორ-გამომცემელმა ბ-ნმა ყორღანოვმა გამოფენის გამგე კომიტეტს ამ დღეებში 100 მან. სთხოვა.

⁂

გერმანიის საკონსულომ გამოფენის გამგე კომიტეტს რამდენიმე ცალი გამოფენის კატალოგებისა მოსთხოვა.

დამაკვირდი.

ადმიანი აქებს მას, ვისაც თავისის თავის სწორად ჰრაცხს.

გეტე.

—

უნაკლულო არავინ არის ქვეყნიერობაზე, უცოდველი ის არის, ვისაც ცოტა ნაკლულოვანება აქვს.

ჰორაციო.

—

ვისაც ძალიან ბევრი ნაკლულოვანება აქვს, ის ყველაზე ადრე სხვის ნაკლულოვანებას ჰხედავს.

ბეკონი.

ისტორიული აჩრდილი.

მას შემდეგ, რაც ქვეყანაზე ადამიანი გაჩნდა, ყველგან და ყოველთვის, ძალას პატივი ჰქონია და, თუ გნებავთ, სიყვარულიცა. ძალა ბევრნაირია: ბუნებისა, ხასიათისა, სილამაზისა და ფულისა. თვითოეული მათგანი იწვევს ხოლმე შიშსა, მორჩილებასა და სიყვარულსა. ერთი-ერთის მათგანით შემკობილს ადამიანს, ან უხვად ყველათი—სავსებით—დაჯილდოვებულსა მოწიწებით ვექცევით, თვალსა და წარბში ვუცქერით... მისი სურვილი ჩვენდა სურვილად ხდება, მოლხენა მოლხენად და გაჯავრება გაჯავრებად. უკეთუ ბედმა არც ერთი დასახელებული ძალა არ გიწყალობა, მშვიდობით, პატივ-აყრილმა უნდა იარო, დაბალ ღობედ გადაიქცე რომ ყველამ გადაიაროს; მასხარად გახდე, რომ დიდმა და პატარამ, ბრალიანმა და უბრალომ თავში ჩაგიფაჩუნოს.

აბა ჩვარსა და ფუტუროს აღფრთოვანებულის თვალით ვინ შეჰხედავს, გონჯსა, ჯიბე-თხელს ვინ მიუალერსებს, ლაწირაკს ვინ დაუმეგობრდება? მართალია, ყველა ეს ქრისტეს დიდებულს მცნებას ეწინააღმდეგება, ისიც მართალია,

---

—არა,. ბატონო, ჩემი ცოდვა სხვანაირი ცოდვაა, მას მღვდელი ვერ მოერევა!... მღვდელ-მთავარი თუ შემეწევოდა და მომისმენდა, თვარა მღვდლები ვერ შებედვენ მას... მაინც, ჩემი ცოდვის გასადიდებლათ არ ბრძანებულა ოზურგეთს... მარა რა, კიდეც რომ იყოს, ვატყობ ჩემს თავს, ველარ ჩავაწევ... გვიან გავბედე აღსარებაში მეთქვა ის, რითაც ვიღუპები...

შევყევით ასე საუბარს და ბოლოს, როცა დავარწმუნე, რომ მადლიანს მღვდელს სრულიათ საკმაო ძალი და ლოცვა-კურთხევა აქვს აღსარებისა და ზიარების საქმეში, ჩემს მოხუცებულს, ქალურის სიმალით, შეუვარდა გული ჩემზე და დამიწყო ხვეწნა: რაკი თვალი ამიხილე, ბარემ თქვენ მაინც მომისმინეთ, ეგებ ვერ ვიცოცხლო აღსარებამდი და თქვენისთანა პატიოსან კაცს რომ გავანდობ ცოდვას, გულს ცოტა მომეშვებაო.

დავყევი ნებას. მოხუცმა დაიწყო თავისი ამბავი, რომელსაც ხშირათ სწყვეტდა ოხვრითა და ცრემლებით.

—„ეს, ბატონო, სამოცი წლის ამბავია: გურიელი მამია სწორეთ იმ წელს მიიცვალა—აცხონოს უფალმა! (ამ სიტყვების თქმის დროს მოხუცმა მოიხადა კაბალახი და მერე ისევ დაიხურა). ბატონისაგან თოფი ახალი მოცემული მქონდა და გურიანთის ციხის-თავს ვახლდი შიგ ციხეში, მეციხოვნეთ. კაბახი კი ვიყავი, მარა კაი გამოწკიპული გურული კაბახი გახლდით... ოოი, რატომ არ დაიქცა იგი დღეი!.. სროლაში, ქესკინობით და გულადობით ბევრი ვერ მჯობდა. ციხის თავი ძალიან მადლობელი ბძანდებოდა ჩემი. მაგრამ ყველა მჯობდა წელის იარაღით. ჩემს ამხანაგებს ყველას ჰქონდა ვეცხლით მოთელილი მაჯახელა, ფიშტო და ცხემლაიში, ოქრომკედით მოქარგული ფილასკა, სატყვიე, მათარა, ჩინებული აბრეშუმის სარტყელი, ხუთფათ წელზე კოხტათ შემოვლებული და მეკი ასეთი არაფერი მქონებია. ჩემს შინ გაკეთებულს ფიშტოს, შავათ შეღებულს, ხის კონდახში ჩასმულს, ასეთსავე ქარქაშში მოთავსებულს ყამას, ხარის ტყავის შავს ფილასკას და მეშის მათარას წამ-და-უწუმ ჩემი ამხანაგებისას ვადარებდი და ყოველთვის გული ღრუბელსავით მომეკუმშებოდა და ზედ შურის ბზიკი მკბენდა.

ერთხელ გაღმა გავედი, ქობულეთის ქალაქში — მაშინ ქალაქი იყო და ახლა სოფელია.—ქობულეთს მიველი, იქაური ნათესავის სანახავათ. ბაზარში რომ ჩავიარე, ერთს დუქანში თვალი მოვკარი იმისთანა მდიდრულს სილალს—სულ ოქროთი მოთელილს და აბრეშუმის სარტყლებს, რომ ტარაბუა დამესხა თავზე და სარგადაყლაპულსავით უძრავათ ამჯგიმა რაღაცამ შუა გზაზე, თვალებიკი, მჯიღების სისხვანათ გამობრაწული, იმ ნივთებზე მქონდა მიშტერებული... მოვინდომე წასვლა, მარა ერთი, სიმცრუე რომ არ ვთქვა, ხუთიოდეჯერ თვალის დახამხამებაში ტყულა ბანდალი ვერ ვქენი ვერც იქით, ვერც აქეთ. ამ დროს მომესმა ჩემივე ხმა: ღმერთთო თქო, ვამბობდი, ამ ნივთიერებიდან რაც ერთის საწელის—იარაღით საჭიროა, ჩემი ქნა თუნდ ერთს დღეს, რომ თემსა და სოფელს თავი დავანახვო და მერე მომკლა, არ მენაღვლება-თქვა... ამ ჩემივე ხმის გაგონებამ გამომაფხიზლა და სასიარულოთ ავიდგი ფეხი. ვნახე, ვიც მინდოდა. სახლში გამობრუნებისას წამომეწია სოლომონ თამაზაშვილის,—მერე სულეიმან თამაზოღლით ხმობილის,—ბიჭი და მითხრა, —ბატონი გიწვევსთ თავისს სასახლეშიო... ცნობა მქონდა მისი: ქობულეთში მძლავრი კაცის სახელი ჰქონდა, გურიაში ხშირად დადიოდა, მარინობაზე (ნაგომართან) იმაზე უკეთესი მოჯირითე იშვიათი იყო... ვეახელი... მომეგება ტოლსავით, სალამი მიბოძა, მე კალთას ვაკოცე. დამაჯდინა. მითხრა, ერთი მძიმე საქმე მაქვს გურიაში მოსაგვარებელი და რაკი შენისთანა დარბაისელ ყმაწვილ კაცს შემყარა უფალმა, ბარემ შენ გაგენდობიო. საჩუქარი დიდებული იქნება: ერთი სიტყვით, რასაც შენ თვითონ მოისურვებო...

— წელის იარაღი! დღეს რომ ვნახე ის! გამიელვა თავში...

აი რა არის საჭირო: ტრაპიზონის ხასან-ფაშას, იგიც გურულია, ხომ იცი? ერთი ათი წლის გურული ბიჭი უნდა სამადლოთ გამოზარდოს, კაცათ გამოიყვანოსო. სამადლო საქმეა და უნდა შევეწიოთო. დაფაცურდი შენო, მითხრა, ერთი მაგისთანა ბიჭი გვაშოვნინე და რაც აღგითქვი, ის ისე იქნებაო...

რაღა გავაგრძელო. მე-უბედურმა... შევყევით მუსაიფს, ბევრი ვილაპარაკეთ და ბოლოს დამიყოლია ნებას. ასე დავდევით პაემანი: რაკი ნებით გურული არავინ მოგვცემდა შვილს გასათათრებლათ—თუმც ხვანთქრობაც მიეცათ,—მე ძალათ უნდა დამეჭირა იმ ხნის ბიჭი და ჩოლოქის ტყეში ერთი დიდი მუხის კატარზე მიმეკრა იღლიათი. დანიშნულს დღეს საღამოთი ის მხლებლებით უნდა მოსულიყო, ბიჭი მოეხსნა და წაეყვანა და ჩემთვის იმავე კატარზე მიკრული უნდა დაეტოვებინა ჩემგან არჩეული წელის იარაღი...

გამოხდა დრო და ხანი. ერთგან თვალი მოვკარი ასეთს ლამაზს ბიჭს, რომ ჩემს ორ თვალს მისთანა ტურფა ნაქნარობის დედის შობილი სხვა არ უნახავს. გამოვემცნაურე, დავუმეგობრდი. ზედი-ზედ ცხელცხლ ხაჭაპურებზე და ჯანჯუხებზე ვპატიჟობდი. ერთს დღეს სანადიროთაც გამომყვა ჩოლოქის ტყეში, ნაჩუმათევათ, რასაკვირველია. ნადირობის დროს ვიშოვნე მარჯვე დრო, მივეპარე ზურგს უკანიდან, დავეცი და, სანამ გონს მოვიდოდა, ხელები გაუკარი წელის ბაწრით და პირში ბურთი ჩავუგდე... მოვიგდე ზურგს და გავუდექ დანიშნულ მუხისაკენ... არც მინახავს ბადეში გაბმული მძლავრი ღლავი, ისე საშინლად აქნევდა ის საბრალო მთელს ზროს ტანისას და ისე ღონიერათ, რომ ერთხელ წამაქცია კიდეც. ზურგი და მთელი უკანა ხომ სულ დამილილავა... მივიტანე როგორც იქმნა იმ მუხასთან... ვაცალე ფართხალი და კარგათ რომ დაიქანცა, ბაწარი მოვაბი კიდევ, მე ზევით ავყევი ხის ტანს და იგი ბაწრით ავზიდე კატრამდი. იქ კაი მაგარ შტოზე ჩამოვაჯდინე, იღლიაში გავუყარე ბაწარი, მერე მკერდზე შემოვავლე და ისე მივაკარი ხეს. ფეხები ცალკე ბაწრით დავუმაგრე. ბურთი ცოტათი მოვუშვი პირში, რომ არ გაიგუდოს თქო. ამ დროს ანაზდეულათ თვალები მომკრა თვალებში და როგორც გველი ჭუჭულს დამიმორჩილებს შეხედვით, ისე დამიმორჩილა თვალებით! ოოჰ, რა ზარ-დამცემი იყო მისი თვალები ჩემთვის! მგონია საშინელი მსჯავრი უფლისა არ იქმნება იმაზე უფრო საშინელი! ცეცხლი, რისხვა, სიბრალული, ცრემლები, მუდარება, მუქარა, ოღროს ანთებული ფისი და წმინდა ილიას მეხის ელვა ერთათ გამოსჭვიროდა ჩემდა ჩასანთქავათ იმ საწყლის თვალებიდან...—რას მემართლები? რა შეგცოდე? ზეცამ გრისხოს! ღმერთმა დაგსაჯოს! რათ მკლავ! ნუ მკლავ! ამიშვი! ჩემო ბიძია, ამიშვი! ყველა ეს ერთათ ამოვიკითხე მისს საშინლად მოელვარე და საცოდავათ მცრემლავ თვალებში. დამეხვია თავბრუ, ამიტაცა შიშის ზარმა, თმა ყალყზე ამიდგა და ისე ხელ მოსხლეტით ჩამოვსრიალდი ხიდან, რომ ახალი კვერტუა ჩოხისა და შარვალის მხოლოთ დაფლეთილი ნაჭრები ჩამომყვა ძირს...

ტყეში, იმ წყეულ ხიდან შორს, ბარდში შევრგე თავი. თამაზაშვილის მოსასვლელ გზაზე დავჯედი, სული არ მითმენდა, მინდოდა შევ-

რომ დაურდომილის განუკითხველობა აწინდელს კაცობრიობას სახელსა და ესტიბარს უტეხავს, მაგრამ ფაქტი ფაქტადა რჩება.—

დღევანდელი ქართველი ყვავილისაგან დაკენკილ ქალსა ჰგავს, ან კიდევ ლაწირაკს, ფუტუროს, წაქცეულ ლობეს და ჩვარსა. ამისთანა ადამიანისა არც სიყვარული ვარგა, არც მძულვარება. ღირსება არა-აქვს. მისი არა ვარგა-რა. ერთი სიტყვით, თუნდ ყოფილა, თუნდა არა.

წინად-კი ასე არა ყოფილა. ქართველს კაცს სხვა-და-სხვა ნაირი ძალა მოეპოვებოდა; ამიტომ აკი სახელიცა ჰქონია და პატივიცა. მაგრამ, ნათქვამია, დრონი მეფობენო, ყველაფერი გაჰქრა და შეგვრჩა მარტოოდენ ისტორია, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ისტორიული აჩრდილი.

ჩვენს მტერ-მოყვარეებს ესეც შეჰშურდათ და ულმობელი, სასტიკი უწყალო ომი გამოუცხადეს სწორეთ ამ ისტორიულ აჩრდილს. „ქვათა ღაღადნი“ ხომ მოგეხსენებათ, ისიც მოგეხსენებათ, სამეგრელო სომხეთის პროვინციააო, ასპინძა და აბასთუმანი სომხეთის ნაწილშიაო და სხვა მრავალი ამგვარი. მთელი სამცხე-საათაბაგო სომხეთის პროვინციებად: ტაიკად და გუგარქად (II და III) არის მოხსენებული; ახალციხე და ახალქალაქი—სომხეთის ქალაქებად; მეორეს თურმე ჰრქმევია ახალ, ახელქმალექ. მდინარე ჭოროხი, მტკვარი, არაგვი, ალაზანი და იორი სომხეთის წყლებადაა აღნიშნული. მაგრამ ხუმრობაში არ ჩამოგვართვათ; გადაშალეთ სომხეთის ისტორია, რუსულად დაწერილი, ვ. ა. აბაზასი, გვ. 3, 8, და თქვენის თვალითა ჰნახავთ. წიგნი დაბეჭდილია პეტერბურგს, 1888 წ.

ეს კიდევ არაფერი. მთად და ველად, კლდე-ღრეში სიარულის დროს ხშირად შეგვხვდებიან ხოლმე დიდებულნი ნაშთნი წარსულისანნი. უნებურად შეჩერდები, დაუწყებ სინჯვასა და გაფაციცებით ძებნას—ქართული წარწერა ხომ არსადაა. მიაგნებ წარწერას, მომეტებულად ხუცურსა და სცდილობ უჩინო თვალით გაარჩიო როგორმე ნეტარი წარწერა. თანამგზავრი-კი, თითქოს მამაო ჩვენოაო, ზეპირად მოგახლის, ეს ხომ სომხური წარწერაა და განა თქვენ სომხური იცითო?

— ყმაწვილო, ჯერ ბუსუსები არ ამოგსვლია, დედის რძე არ შეგშრობია ტუჩებზედა და ვინ ჩაგაგონათ, რომ აქ ქართული-კი არა, სომხური წარწერააო? ცოტა არ იყოს დარცხვენილი ასეთის გარემოებით, თავმდაბლად-ღა გიპასუხებს—ასე ამბობენ ყველანიო...

სწორედ ომია გამოცხადებული, ომი ჩვენ საცოდავ წარსულთან. მისი აჩრდილიცა ჰშურთ.

არავინ.

ფონოგრაფით გადაღებული სახალხო სიმღერა.

ძლივს ეღირსა ქართული სიმღერების ხმებს ფონოგრაფით გადაღება!

რამდენიმე წელიწადია რაც უკეთეს საშუალებად სახალხო მელოდიების გადასაღებად ფონოგრაფი შემოიღეს. ჩვენში ამას ეხლახან მიაქციეს ყურადღება და ამ ზაფხულს ბატონმა ზაქარია ფალიაშვილმა „წერა-კითხვის საზოგადოების“ დახმარებით კახეთსა და გურიაში გადაიღო სიმღერების ხმა.

ჩვენ დავესწარით ამ თვის 18 ფონოგრაფის დაკვრას და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომეტებული ნაწილი სიმღერებისა კარგის სინამდვილით ჩაწერილა, რამდენდაც-კი ფონოგრაფს შეუძლია.

ყველაზე წინ უნდა ვთქვათ, ჩვენი ნახული ფონოგრაფის ცილინდრები (მილები) წმინდა სანთლისა იმ სიდიდეა, რომ მასზე დაიწერება ორი მინუტის ხანში სამღერალი ხმა. ამის გამო უფრო მეტის ხანგრძლივად სამღერალი ვერ იწერება და ამიტომ, სიმღერა თუ გრძელია, ან უნდა აჩქარებულად ნამღერი დაიწეროს, ან უნდა შეიქრას და უკუდოდ გამოვიდეს. საზოგადოდ გრძელი სიმღერისათვის უფრო დიდი ზომის ცილინდრებია საჭირო.

სწორედ ეს მიზეზია, რომ ზოგი სიმღერა სრულიად და კარგად არის გადაღებული, რომელიც-კი ორ მინუტში ასწრებს გათავებას, და სრულად კარგად ვერ არის გადაღებული უფრო გრძელი სიმღერები.

კახურის სიმღერებისაგან მშვენივრათ გაიგონებთ სუფრულ(ჩაკრულს) მკიდამ წამოსვლის დროს სიმღერას და ურმულს. მეტადრე ეს ორი უკანასკნელი კარგად ისმის, ეტყობა კარგი მომღერლები ყოფილან, მეტადრე ურმულის მომღერალი. სიმღერის ხმა ნამდვილი ხმაა ადამიანისა, მხოლოდ სიტყვები მკაფიოთად ვერ ისმის, რაიცა მომღერლის ბრალი უნდა იყოს და არა ფონოგრაფისა.

გურულ სიმღერებში უკეთესად გამოსულა საცეკვაო სიმღერები კრიმანჭულებით და თან ტაშისკვრით. „ხასანბეგური,“ გათქმული ქობულეთური სიმღერა ქობულეთში და ქაარაში, ვერ გვეჩვენა თავის მშვენიერებით, როგორც ეს გაგვიგონია გურიაში. უკეთესი ამის მომღერლების სიმღერას ვერ შეედრება ეხლა გადაღებული. „ნადური“ ორჯერ არის გადაღებული და არც ერთი არ ვარგა. გძელი სიმღერაა და ვერ მოუსწრია ფონოგრაფს. უკეთესად ისმის „ხელხვავი“ და აგრეთვე „შინდი-მინდი“. სიტყვები გურულ-სიმღერებშიაც მკაფიოდობას მოკლებულია კახურსავით. რაც უნდა იყვეს, ეს პირველი საცადისია ქართულ სიმღერების ხმების წერისა. დღევანდლამდე ნოტებზედ გადამღებნი ვერ ახერხებენ, რომ სრულის სინამდვილით დასწერონ ქართული სახალხო მელოდიები და ამიტომ ფონოგრაფით წერა აუცილებელი საჭიროებაა. სანამ ნოტების მწერლებში მცოდნე, ნიჭიერი და განსწავლული გამოჩნდებოდეს, და მაშინაც-კი, თუნდ გამოჩნდებოდეს, ერთად ერთი საშუალება ნამდვილად სიმღერის შეკრებისა და წერისათვის ფონოგრაფია. ფონოგრაფი მუსიკის მცოდნე ნოტების მწერლებსაც და მომღერალ გუნდებსაც დიდ დახმარებას მისცემს. ამისა გამო დღეს ვისაც სახალხო მელოდიების მნიშვნელობა ესმის, ფონოგრაფით წერას უნდა მიაქციოს ყურადღება. მადლობის ღირსია წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა, რომ დასაწყისი მისცა ამ საქმეს და ბატონ ფალიაშვილს დააწერინა სახალხო მელოდიები, რომელიც სკოლებში სამღერლად უფრო საჭიროა, ვიდრე დღევანდლამდე ნაწერი ნოტები მცირე მცოდნე კაცებისა.

დასასრულ უნდა დავუმატოთ, რომ ფონოგრაფის მომართვა ძნელი საქმე არ არის, ადვილი შესასწავლია და ყველას, ვისაც-კი ყიდვა შეუძლიან, ადვილად მოახერხებს მომართვას. რასაკვირველია, უკეთესად მას შეუძლიან, ვისაც მუსიკის სწავლა მეტი მიუღია. წერის დროს, რასაკვირველია, საჭიროა კარგი ხმიანი მომღერლები მოსძებნოს დამწერმა და იმისთანა სოფელი, საცა უფრო შენახულა კარგი სიმღერების ხმა და გათქმულია მომღერლებით.

ვ.

დაბა და სოფელი

ს. წინარეხი. 14 მარიამობისთვეს მთელი სოფელი ქვათახევში წასასვლელად ემზადებოდა: ზოგი პურს აცხობდა, ზოგი საჭმელს ამზადებდა და თან ტკბილად ოცნებობდნენ, დღესასწაულში ცოტას ხნობით მაინც არის შევისვენებთ და დაჩაგრულს გულს გავართობთო, რომ უცბად ყველა ეს გაუუგემურდათ. დილის 9 საათი იქნებოდა, რომ ოთხი-ხუთი სააქციზო უწყების მოხელე მალულად წამოეპარა სოფელს და ხმლების ჩხაკუნით, გამოცდილი სარდლებივით, სხვა და-

---

ყროდი და პირის-პირ გამომერთმია ჩემი წელის იარაღი... დღე და ღამე ახალი გაყრილი იყო, რომ შორე-ახლოდან მომესმა თოფის ხმა. ყური ვაცქვიტე. ხმაურობა ოდნავ მომესმა. ვიფიქრე, რომ სწორეთ ბევრნი მოდიან ერთად, მხიარულობენ, თოფს ისვრიან და ჩემი ნახვა ბევრი კაცისაგან არ ივარგებს მეთქი და გავსწიე შინისკენ... პირდაპირ გზით დაბრუნება ვერ გავბედე, მოვიარე, ცოდვამ გზა დამიბნია. ათას ალაგას ტბებსა და საფლობებში ჩავვარდი; როგორც იქმნა მივატანე ბინას. ის ღამე ცეცხლათ გავატარე. როგორც იქმნა გათენდა, მაგრამ ლოგინიდან წელი ვერ წამოვიწიე, ისე ვიყავი დაღალული ტანჯვით გატარებული ღამით. სიცხეც მომცა. მალე ოფლით გავიწურე და ძილათ მივეგდე. მთელი ის დღე და მეორე ღამე ბოდვაში გამეტარებინა, რომ გამოვიღვიძე, მეზობლები თავს მეხვიენ და მეუბნებოდენ: არაფერი გიჭირსო. ისინი რომ წავიდენ, ცოლმა და დედამ მითხრეს: სულ წელის იარაღი, ხაჭაპურები და ნადირობა გაბოდებდაო. ზედ დატანებით სრული სწორი ვეგდე ლოგინში უნდომათ. სწორზე წელი წამოვიწიე, როგორც იქნა, და ეზოში გავიარ-გამოვიარე. გული დაჯავრიანებული მქონდა, ღვთის გაჩენილი ქვეყნის სიკეთე აღარ მახარებდა.

უცებ იმ საცოდავის დედა მოიჭრა ჩვენსას სახე დაღმანჭული, თმა აწეწილი, ფერ-მკრთალი, ნამტირალევი თვალებით თავისს თავის ლანდათ გადაქცეულიყო საწყალი. ქალები მიესალმენ, მარა ისინი არც შეუმჩნევია, პირდაპირ მე მომვარდა და შემომბღავლა:

„შვილი! ჩემი ერთათ ერთი ბიჭი! ჩემი სულის დგმა, ჩემი დამტირებელი, დამეკარგა!.. მომპარეს?.. თათარში გაიყვანეს?.. მგელმა შეჭამა?.. არაფერი ვიცი! შენ გენაცვალოს ჩემი უბედური თავი... მომინახე... ღმერთი გადღეგრძელებს... შემეწიე მე დღე გამწარებულს... შენ გიყვარდა ის უბედური... რამდენი ხაჭაპურები გიჭმევია მისთვის... სულ შენ აბოდებდი იმ საცოდავს!“—მომეხვია მუხლებზე, ცრემლებით დამილტო შარვალი... მისი საცოდაობა ქვასაც აატირებდა... ჩემი გულის ცეცხლს ნავთათ დაესხა მისი ცრემლები... მომეკიდა ჯოჯოხეთის ალი, ავზლუქუნდი... ძლივს დავიმორჩილე ენა ასალაპარაკებლათ და დავპირდი შვილის მონახვას... გულ მოოხებული გადავიდა საბრალო ჩვენგან მეზობლებში...

იმ მუხისკენ წასვლის სურვილი ხანდასმით გამკრავდა გულში, მაგრამ იდუმალი ხმა „ნუ წახვალო“ ჩამძახოდა ყურში და ვეღარ მივდიოდი...

აღდგომის მესამე დღეს, საუზმის დროს ცა საწვიმრათ მოქურუშდა. „მუხა“!? „წელის იარაღი!“ რაღაცამ გამწივლა ყურში. მომერია ეშმაკი და მეც გავსწიე. მივატანე ტყის არეს, შევედი შიგ ტყეში და რომ დავუახლოვდი იმ ჩემი ცოდვის ადგილს, უთვალავი ყვავ-ყორანის ჩხავილმა ყური გამომიყრუა. ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ისე მივუახლოვდი მუხას... გადვიწერე პირჯვარი... ავცოცდი ხეზე. უცნაური მყრალი სუნი იკრა ცხვირმა... ხის შუა წელამდი ვიქნებოდი აცოცებული, რომ ავიხედე ზევით. იმისთანა შენმა მტერმა და ავმა ნახა, რაც მე მაშინ დავინახე: ჩონჩხი, ჩამოკიდებული ბაწრით, ყვავ-ყორნებისაგან ხორც გაცლილი, მარტო აქა-იქ შერჩენოდა აშმორებული მძორის ნამცეცები... თავის ქალა მკერდის ძვლებზე ჩამოქინდრებოდა, სვავის ამონაკორტნი თვალის უბეები შავ უფსკრულათ ჩნდა, ფეხების ძვლებზე ჭია ლუები დაცმუცავდნენ... ნიავმა დაჰქროლა, ახმაურდა ტყე და ჩონჩხის ხელ ფეხის ძვლები ერთმანეთზე აწკაპუნდა... ერთი ისეთი უშველებელი „ვაი-მე“ ამოიჭრა ჩემი მკერდიდან, რომ იმ ტყეს ზარბაზნის ხმასავით მოედვა, თვითონ მევე დამცა თავზარი, ელდამ შემიპყრო, ხელ-ფეხი ამიკანკალდა... რის ვაი-ვაგლახით ჩამოვძვერი ძირს და სულ კბილების კრაჭუნით ვიძუნძულე შინამდი. სამი დღე და ღამე ჩემს თვალებს რული არ მიჰკარებია. სულ ის საბრალო ბავშვი ცოცხლათ ხეზე აკრული მელანდებოდა, ვითომ მიძახდა: „ბიძი ნუ მომკლავ! ნენა არ გეცოდება, ჩემი ნენაო!“ სულ ქაჯებს, ეშმაკებს, ჯოჯოხეთის კუპრს და გველებს ვხედავდი ცხადშიაც და სიზმრათაც. ეს ფიქრიც ამიხირდა თავში: რათ არ მოვიდა თამაზაშვილი ბავშვის წასაყვანათ? რათ ამაკვრევინა ბავშვი ხეზე, თუ მეტათ უფრო არ უნდოდა მისი წაყვანა? რათ წამწყმინდა? რა სისხლი ემართა ჩემი, რომ ასე დამტანჯა?!

მეოთხე დღეს გადავწყვიტე ჩემს გულში თამაზაშვილი მომეკლა და გავსწიე კიდეც ქობულეთისაკენ დილა ადრიანათ. სადილობის დრო იქნებოდა, ჩემს ნათესავს რომ თავი დავუკარი. სამხრობაზე იმისთანა ამბავი მიამბო, რომ ჩემი აუხსნელი საიდუმლოს ბოქლომი უცბათ გაალო. მითხრა, სოლომონ თამაზაშვილი ამა და ამ დღეს—სწორეთ იგი შავი დღე თქვა, მე რომ მოგახსენეთ—გურიანთის ტყეში მოჰკლა იოსებ გეჯალიამ, რომლის სისხლი მართებოდაო. აი, ჩემი ცოდვის მორევი სად ყოფილიყო! საჭირო შეიქნა ჩემი ცოდვის გასადიდებლათ, რომ თამაზაშვილს გეჯალიას სისხლი მართებოდა, და რომ გეჯალიას სწორეთ იმ დროს მოეკლა იგი, როცა ხეზე მიკრული ბავში თამაზაშვილს უნდა წაეყვანა...

ასე წავიწყმინდე სული, ასე უწყალოთ დაიღუპა ათი წლის სიცოცხლით სავსე მზეთ-უნახავი ყრმა, ხუჭუჭ თმიანი, შავ თვალებიანი, თეთრ ყირმიზ ლოყებიანი, კალმით ნახატი ნაქნარობის... ვაი... იმ წყეულის წამის აქეთია სულის სიმშვიდე რაა, ტკბილი ძილი რაა, არ ვიცი.

სოფელმა ეჭვათაც არ იცის, რა ცოდვას ვატარებ, და ბედნიერს მეძახის. ღმერთი-კი მიტომ არ მკლავს, რომ უფრო დავიტანჯო... ოჰ, არა მგონია, სინდისის მხილებით სიცოცხლითვე ტანჯვას საიქიოს ტანჯვები რომ შეედარონ... ჰაი, რა მენატრება სიკვდილი!.. ვეფიცავ ნეტარებას სულისა და გულის სიმშვიდისას, რომ ისე მეჩქარება ჯოჯოხეთში ჩემი საკუთრის ტანჯვების დაწყება, როგორც ათასს სხვას ხელმწიფის ჯილდო... შევურიგდი ჩემს ხვედრს, რომ უნდა წავწყდე, სამართლიანი მიმაჩნია ჩემი ცოდვილი სულის ჯოჯოხეთში ყოფნა და, ასე მგონია, იქაური წამება სინიდისს გამიწმენდს და ცოდვას მომიოხებს... ყველაფერი სჯობს ამისთანა ყოფას!.. ვაი მას-კი არა, ვინც ჯოჯოხეთში იტანჯება, ვაი მას, ვინც სიცოცხლითვე ჯოჯოხეთს გულში ატარებს!

აქ ერთი კიდევ ამოიოხრა სიმწარით და ჩაღუნა თავი.

მინდოდა მენუგეშებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე: გარემოების შესაფერს სიტყვებს ვერ მივაგენი.

— მშვიდობით! ვუთხარი მშრალათ და შევანძრიე ლაგამი.

მან გზა დამილოცა და, როცა ჩემგან შეიტყო, რომ ს. მამათს მივდიოდი, გულითადათ მთხოვა მისას ჩამომხდარიყავ:

— ომაინ კილდაძე იკითხეთ, ბატონო, ყველამ იცის ჩემი კარმიდამო. შებრძანდით, შენ ხარ ჩემი ბატონი და, თქვენი საკადრისი ვერა, მაგრამ სოფლის პირობაზე ჩემისთანა მასპინძელი სხვა კაძახი ვერ დაგხვდებათ!

ჩამოხდომით არ ჩამომხდარვარ მისას, მაგრამ ისე გამოვიკითხე-კი მისი ავან-ჩავანი. ყველანი ერთხმათ იხსენიებდენ მას, როგორც სამაგალითო პატიოსნების ადამიანს, სიტყვის კაცს, მხნე მუშას და გამტანს მეზობელს...

ვ.

სხვა მხრიდგან მიიტანეს ეიერში. შეცვივდნენ სახლებში, აურ-დაურიეს იქაურობა, პატარძლების სუფთად ჩალაგებული სკივრები გადმოყაჰეს; ზოგან მთიულებისაგან ძღვნად ჩამოტანილი, ან ნაყიდი არაყი იპოვეს, ზოგან დიდი ქვაბი და ეს ყოველივე წაიღეს, ოქმი შეადგინეს. ამ არეულობაში ბავშები მთლად დაწიოკდნენ, მანდილოსნები ატირდნენ, მამაკაცებმა გონება დაჰკარგეს. რომ ამ ვაჟბატონებს ვუცქეროდი, უნებურად ლეკთა შემოსევა წარმომიდგა. მაგრამ... არა მგონია, მაშინდელი შემოსევით ხალხი ასე შეშინებულიყვეს, რადგანაც მაშინ ბევრი მამულიშვილი თვისს ძალასაც გამოსცდიდა და შემოსეულს მტერს გულადად შეებმოდა. ახლა-კი?.. ეს ხომ მტერი არ არის!

ამ გვარად ჩაჰშხამდა ზოგიერთს მომავალი დღესასწაული და ოცნებით წარმოდგენილი სიამოვნება-სიტკბოება მწუხარებად შეეცვალა.

ვანო გიუნაშვილი

—

იყალთო (თელავის მაზრა). მარიამობისთვის 16 სოფ. იყალთოში აქაურ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ ქნ. სოფიო მაყაშვილის მეცადინეობით სცენის მოყვარეთ, რომელნიც მომეტებულ ნაწილად იყალთოს მკვიდრთაგანვე შესდგებოდნენ, ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს „ფული ან ხარისხი“, 3 მოქ. კომ. აზიანისა და „И онъ во всемъ виноватъ“, 1 მოქ. ვოდევილი. საზოგადოება წარმოდგენას კარგა ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. მართალია, ზოგიერთს მოთამაშეს როლის უცოდინარობა ემცნეოდა, მაგრამ იმდენად სუსტად, რომ ეს არც-კი ეკიჟინებათ. ძლიერ კარგი იყო მაშოს როლში ქნ. ს. მაყაშვილისა, რომელმაც თავისის სცენაზედ გამოსვლით ეს მეორედ ასიამოვნა საზოგადოება. კარგები იყვნენ აგრეთვე ბ.ბ-ნი გამყრელიძე, აჯი-მამულოვი და ალ. მაყაშვილი.

ურიგო არ იქნებოდა წელიწადში ორს-სამს წარმოდგენას მაინც ჰმართავდნენ ს. იყალთოში და მით ასიამოვნებდნენ აქაურს საზოგადოებას, რომელიც ქ. თელავის სიშორისა გამო ყოველსავე გონივრულს გართობასა და სიმხიარულეს მოკლებულია.

ნ. იყალთოელი.

უცხოეთი

—

ინგლის-ტრანსვაალის ომი. კიტჩენერის ახალ პროკლამაციისა გამო დოქტორის ლეიდრის თავგამოდებულმა ცდამ, რომ დიდნი სახელმწიფონი ჩარეულიყვნენ ინგლის-ტრანსვაალის ომის საქმეში გააგის კონვენციის მიხედვით, უნაყოფოდ ჩაიარა, დოქტორმა ლეიდსმა ვერ იპოვნა ამ კონვენციაში არც ერთი ისეთი მუხლი, რომელიც უარ ჰყოფდეს კიტჩენერის პროკლამაციაში გამოთქმულს წეს-რიგს ომის გასათავებლად. კონვენცია არ ეხება პარტიზანულს ომს და ის პირობები, რომლითაც კონვენცია აღუკრძალავს დაუსრულებლისა და უიმედო წინააღმდეგობის დასჯას, სრულიად გამოუდეგარია სამხრეთ-აფრიკის აწინდელ მდგომარეობაში.

—პრეზიდენტის კრიუგერის მეუღლის დასაფლავების დღეს პრეტორიაში ინგლისელებს ბევრი უმართებულობა ჩაუდენიათ. იმ დროს, როცა ეკკლესიაში განსვენებულის კუბო იდგა და პანაშვიდს იხდიდნენ, ქალაქის ბაღში ნორტუმბერლენდის მსროლელთა სამხედრო ორკესტრს კონცერტი გაუმართავს, რომელსაც დასწრებია პრეტორიის ბურგომისტრის თანამდებობის აღმასრულებელი ოჯახითურთ და დასაფლავებაზედ სულაც არ გამოცხადებულა. მთელი ქალაქი შეაშფოთა თურმე ამ უტაქტობამ. რაწამს დასაფლავება გათავდა, ინგლისელები შევარდნილან განსვენებულის სადგომში და სრულიად აუოხრებიათ იქაურობა.

კრიუგერის ნათესავებს, ელოფსა და იაკობსს ოჯახობითურთ ებრძანათ დაუყოვნებლივ გადაიბარგნენ სამხრეთ-აფრიკიდგან. ესენი ყველანი ევროპაში მიდიან, კრიუგერის სიძის ელოფის გარდა, რომელსაც გზავნიან, როგორც ტყვეს, ინდოეთში.

— ტრანსვაალის სამხრეთით ვოლმარანსტადში ამ ახლო ხანში მოხდება ბურების წინამძღოლთა უმთავრესი კრება ვიცე-პრეზიდენტის შალკ-ბურგერის თავმჯდომარეობით. კრებაზედ განხილული იქმნება კიტჩენერის ახალი პროკლამაცია და მოლაპარაკება ექმნებათ იმაზედ, თუ რა ღონისძიება მიიღონ ინგლისელთა წინააღმდეგ.

დეპეშა

—

24 აგვისტო.

პეტერბურგი. აღმოჩნდა, რომ ქალაქის საკლავ საქონლის ბაკებში სხვილს ვაჭრებს პირი ჰქონიათ შეკრული და ხბოს ხორცზედ ფასი განგებ უმატებიათ. ამ ბოროტების მოსასპობად ყოველივე ღონისძიება მიღებული.

ლიბავა. გუშინ საღამოთი ქალაქი სულშემხუთველი კვამლით იყო დაბურული: ნავთსადგურში მინდელსონის შვრიის საწყობებს ეკიდა ცეცხლი. ცეცხლს დილიდგანვე ერთგულად აქრობდნენ. ზარალი 100 ათასს მანეთზედ მეტია.

კალუგა. წვიმები მოვიდა, აგრილდა; ანეულების თესვა დაიწყეს.

ხერსონი. საუცხოვო ვაჭრობაა, ბესსარაბიისა, ხერსონისა, ოდესსისა და კერძოდ კიევისა და ხარკოვის მხარეს; სუსტი—პოლტავისა, დონისა და როსტოვის მხარეს. წვიმები მოდის, რომელიც სოფლის მეურნეობისათვის საჭირო არის.

მოსკოვი. სახალხო სიფხიზლის სამზრუნველო მალე ისეთს ადგილებში გაჰმართავს იაფ-ფასიანს, სუფთა და საღი საჭმელების მიმოძრავს სამზარეულოებს, სადაც მუშა ხალხი ბლომად არის.

ვარშავა. წვიმებმა კარტოფილი ძლიერ დაალპო.

კაპშტადტი. როგორც კერძო ცნობები იუწყებიან, ბურგერსდორპის საკანონმდებლო საბჭოს წევრი ვანდენგეევერი დაუპატიმრებიათ იმის გამო, ვითომ იარაღი დაემალნოს.

ვორსესტერსა და პროტკონტენს შუა რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია; ფოსტა მხოლოდ დილით დაიარება. როგორც ფიქრობენ, შეპერსი ამ ადგილებში უნდა იყოს.

მიდლბურგი. (კაპის ახალშენი.) პიტერსბურგიდგან სამხრეთით, 23 აგვისტოს, ლოტტერის მთელი რაზმი, დილით, პოლკოვნიკმა სკობელმა წაიყვანა ტყვეთ, 12 ბური მოკლულია, 46 დაჭრილი, 103 ტყვეთ წაყვანილი; დავლათ 200 ცხენი დარჩათ.

იერუსალიმი. რუსეთის საფოსტო კანტორა დღეს იქმნა გახსნილი.

დანციგი. იმპერატორმა პრინცი ცუნი მე-17 სამხედრო კორპუსის პარადზედ მიიწვია. პარადი დანცინგთან მოხდება.

პარიჟი. რეიმსის ყველა ქუჩებში გუშინ შემდეგის პატრიოტული შინაარსის აფიშები იყო გაკრული: „რეიმსის მცხოვრებთ ჰსურთ გამოაცხადონ თავისი პატრიოტული სიხარული იმისა გამო, რომ რუსეთის იმპერატორი და იმპერატრიცა მობრძანდებიან. ყველანი აღტაცებით უძღვნიან სალამს საფრანგეთის ძლიერს მეგობრებს. მოკავშირეთ გაუმარჯოთ!

25 აგვისტო

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება, თუ რაბინების და მათი თანაშემწეები რა წესით უნდა იქმნენ ხოლმე არჩეულნი.

ნოვოროსსიკი. 24 აგვისტოს მობრძანდნენ საგანგებო მატარებლით: დედოფალი ელლინთა და პრინცი ანდრია, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე და დიდის მთავრის მეუღლე მარიამ გიორგის ასული, რომელთაც მიეგებნენ ადგილობრივნი მთავრობის მოხელენი, ბერძენთა ახალშენის მცხოვრებნი და მრავალი ხალხი; 11 საათზედ ზღვით წავიდნენ.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება დეპეშით პრეტორიიდგან: „300 ბური გუშინ დილით ორანჟეს მდინარეს გადვიდა და გერშელთან ადგილობრივ მცხოვრებთა მიწა-წყალს შეესივნენ. ბურებს ინგლისის ჯარი სდევნის.

პიტერსბურგთან ბურების რაზმის ტყვეთ წაყვანის შესახებ კიტჩენერი კიდევ შემდეგს იუწყება: „ტყვეთ წავიყვანეთ დილით ადრე. ბურებმა დაჰკარგეს 19 მოკლული, 52 დაჭრილი და 114 ტყვეთ წაყვანილი მთელის თავიანთის ქონებით. სხვათა შორის, ტყვეებში მოჰხვდნენ სარდლები ლოტტერი და ბრეატი, ფელდკარნეტი კრიუგერი და პორუჩიკი შემანნი; მოკლულთა შორის არიან ძმანი ვასტერები და ორი ცნობილი აფრიკანდერი ახალშენიდგან.

კენიგსბერგი. იმპერატორი და იმპერატრიცა მობრძანდნენ.

მონტესგოლტენი. ლოტტერი გოვრსგუკთან იქმნა ტყვეთ წაყვანილი, პიტერსბურგის მახლობლად; 19 ბური გაიქცა.

ნიუ-იორკი. ბუფალოს გამოფენაზედ ვიღაც კაცმა მაკ-კინლეის რევოლვერი ესროლა, პრეზიდენტი ორგან არის მუცელში დაჭრილი; საშიშს მდგომარეობაშია.

ბუფალო. მაკ-კინლეის ჭრილობა სასიკვდილოა.

ბუფალო. მაკ-კინლეი გამოფენის მუსიკალურს დარბაზში დასჭრა უცნობმა, რომელსაც ტანთ კარგად ეცვა. იგი პრეზიდენტს მიუახლოვდა და ხელი ჩამოართვა, ხოლო მეორემ რევოლვერი ესროლა. დამნაშავე დაჭერილია, მაგრამ მისი ვინაობა ჯერ არ იციან.

ბუფალო. (4 საათსა და 55 წ. ნაშუადღევს). ერთი ტყვია მარცხენა მკერდში მოჰხვდა, მეორე—მუცელში. ამბობენ, პრეზიდენტი გონს მოვიდა და ეხლა მშვიდობიანად წევს, არავითარს ტკივილებს არა ჰგრძნობსო. ტყვია, რომელიც მკერდში მოჰხვდა ძვალთან შედგა, ამოღებულია. მკვლელი ფრიდრიხ ნემანს ირქმევს სახელად; იგი პოლონურის ჩამომავლობისაა და სცხოვრობს დეტროიტში; მხოლოდ ერთი კვირაა, რაც ბუფალოში ჩამოსულა. ნემანი თავს ანარქისტად აღიარებს. ხალხს უნდოდა დამნაშავე თვითონ დაესაჯა, მაგრამ პოლიციამ, როგორც იყო, წაყვანა მოასწრო და დააპატიმრა.

სოფია. კრებამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა მინისტრებათ ნამყოფნი ივანჩოვი, როდორლაკოვი და ტონჩევი, როგორც სახელმწიფოს მოღალატენი, კონსტიტუციის დამრღვევნი და სახელმწიფო ინტერესების მაზარალებელნი; სამართალში მისცეს; მინისტრათ ნამყოფს ტენევს მხოლოდ უკანასკნელს დანაშაოლობაში ამტყუვნებენ.

განცხადებანი

ფრიად საჭიროა იმათთვის, ვისაც

თმა სცვივა.



მე, M-me ევგენია ლავო, გამომგონელი თმის გასამაგრებელ და საზრდელ სითხის

„ფენომენისა,“

ტფილისში ჩამოვედი და დავრჩები ძალიან ცოტა ხანს, რასაც ვაუწყებ პატივცემულს საზოგადოებას. სითხე „ფენომენი“ იხმარება შაკიკის, ნევრალგიისთ, თავისტკივილისა და სხვა ავადმყოფობის მოსარჩენად. მაქვს მრავალი მადლობის წერილი იმათგან, ვინც ჩემ მიერ გამოგონილი სითხე იხმარა. მსურველთ ვიღებ დილის 10-დგან 12 საათამდე და 2 საათიდგან 6-მდე. რჩევა-დარიგების ფასი—50 კაპ.

პატივისცემით ევგენია ლავო

ხსენებული სითხე „ფენომენი“ ნება-დართულია სამკურნალო მმართველობისაგან, ქ. ოდესა, № 1577.

ადრესი: ტფილისი, „ვეტცელის“ სასტუმრო, მიხეილის ქუჩა. კავ. გამოფენის დროს სითხე გამოფენაზედ გაიყიდება.

(4—190—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 28 აგვისტოს, დღის 12 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაცემა 25 საათიშო სვეტის დადგმისა ქალაქის ქუჩებში, რაიცა ქალაქის ხუროთმოძღვრის შ. გ. შახნაზაროვის პროექტით დაიჭერს 2,860 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ვაჭრობის პირობები გამგეობის ამშენებელს განყოფილებაში ჰნახონ ყოველ-დღე დილის 9-დგან 1 საათამდე. (3—6.—1)

როიალები

პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—6.—23)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.